

ზურა პაპიაშვილი

წყალდიდობა

ქალაქი დატბორილია, ასევე დატბორილია სასაფლაოების დიდი ნაწილიც, მათ შორის ვაკის სასაფლაოც, საიდანაც პიესის გმირები მოცურავენ შუაგულ ქალაქისკენ.

ლალი: ას ოცი წლის ქალბატონი

გულიკო: ას ოც წელს მიტანებული, შედარებით ახლაგაზრდა.

ქალაქის მერი: ქალაქ თბილისის მერი

ლალი-ფრთხილად გულიკო, არ დამეკარგო ამ უცხო ქალაქში. რა ამბავი კორპუსებია, სახლს ვერ მივაგნებ რო რაღაცა იყოს, მარა ისე გამომისტუმრეს ნაღდათ არ ესიამოვნებათ ჩემი ახლა იქ მისვლა, ძლივს მომიშორეს.

გულიკო-დედა ნოდარი სად დავკარგე ნეტა, ეტყობა ქვემოდან მისრიალებს, ვარაზის ხევით უყვარდა სიარული, როგორც პირველ პაემანზე, ფიქრის გორის ასახვევში დამხვდება ეშმაკურად.

ლალი-კი, თუ არ გაუარა სხვებს, ან მძაბიჭებს ...

გულიკო-ლალი მეზობლები არ ვართ, სად გინახავს მაგის ფეხი გადგმული ა ?

ლალი-უჰ თამაზმაც ასე იცის თავის მოჩვენება, მაგრამ სულ ვერის სასაფლაოს გაჰყურებს...დღემდე ახსოვს ელეონორა ჯაყელი...ვერ დავავიწყე...რა არ ვცადე, ჯადო, შმადო...რა ვიცი მე. ახლა კი მყავს გვერდში მარა...

გულიკო-ფრთხილად, დიდი ტალღა წამოვიდა. თავი არ აწიო.

ლალი-ჰა ჰაა თუ შემაქანა ახლა პირდაპირ ჩემი რძლის სახლში.... იცოცხლე მერე. (იციინიან)

გულიკო-რა ვიცი, აღდგომებზე წითელი კაბით გაპრანჭული კი ამოვიდა.

ლალი-შენც დაინახე ხო ? კი, სხვის დასანახად არ ეშლებათ ბატონო...დებილი ჩემი ბიჭი...ვაიმე, ხელი მომკიდე კიდევ დიდი ტალღა მოდის, რაღა ეს კაბა ჩავიცვი, უხერხულად ფრიალებს.

გულიკო-სტიქიაა, ვინ გაცადა, ვერ ხედავ ხალხი დედიშობილა გამოყავდათ, რა დროს ეგ არის.

ლალი-ჰმ ღმერთო შენ გვიშველე, დაიკლოს მაინც სადამდე უნდა გვატაროს, ექსკურსიები მაკლდა თუ ? რას დაუმსგავსებიათ ქალაქი. (ახველებს) ეს ხეები ისევაა ? ალერგია მქონდა ბავშვობიდან, კიდო ეს მინდოდა ? სველი სალფეტკი მომაწოდე ერთი.

გულიკო-დედააა, რამხელა შუმის შენობაა, ასეთ შენობებს უცხოურ ჟურნალებში ვნახულობდი ხოლმე...როგორ შეცვლილა ყველაფერი...ა, უყურე ლალი, დააკვირდი იმ აბრას.

ლალი-ვინაა, რა იყო ?

გულიკო-შალვა ამყოლაძე...ჰმ მაინც გაიტანა თავისი, დააკიდებია აბრა მაინც. რა წერია ერთი წაიკითხე სანამ ჩავუქროლეთ.

ლალი-აქ ცხოვრობდა ცნობილი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე შალვა ამყოლაძე...რა იყო მერე ?

გულიკო-ჰმ ! ინჟინერი კიბატონო...იყიდა...მაგრამ რაის საზოგადო მოღვაწე ერთი ? გაფხრეწილი ნიფხავით დადიოდა...ფუუუ რას დამსგავსებულა ქალაქი.

ლალი-ა, წამოვიდა კიდო, მომკიდე ხელი, ხალხი რას იტყვის თავისზე უმცროსს ვერ გაუფრთხილდაო...კარგად ჩამავლე ხელი, ჩემი გამძლეა, ესპანურია.

გულიკო-მეშინია.

ლალი-ნუ ხარ მშიშარა, არ შეგნიშნონ.

გულიკო-თუ ქვემოთაა ნოდარი,- ნაკადი გაძლიერდა, მეშინია სოფლისკენ არ აღმოჩნდეს...დედამისს ისედაც იქ უნდოდა...

ლალი-ქართველი კაცები დედის გარეშე ? არაა გამორიცხული, მკლავები მოუსვას და დედამისთან აღმოჩნდეს.

გულიკო-რატო? რაიყო ?

ლალი-კარგი ახლა, მეზობლები ვართ, იცი რომ ჩვენი ხმაც გამოდის თქვენთან და თქვენი კიდევ ჩვენთან...ხანდახან გულს ისე უწვრილებ რომ...მე რომ ნოდარი ვიყო....

გულიკო-მიდი, დაიცავი ხო...ასე იცით მეზობლის ქალებმა.

ლალი-ვაიმე, გული წამივა, ნამდვილ ლომს ვხედავ ახლა მე თუ მეჩვენება?

გულიკო-ვაიმე, ნამდვილია, ბანკის შენობისკენ მიდის...

ლალი-უპ გული გამისკდა მარა ჩვენ რას გვიზავდა ნეტა...შეშინდები ხოლმე. მკვდრის ყველას ეშინია ხო იცი.

გულიკო-დედაა, უნივერსიტეტი ისევ იმ ფერებშია, ეს ახლაგაზრდობავ, ახალგაზრდობავ...ამეწეპებოდა ნოდარი და...

ლალი-ეპ ნეტა ლამარა ვაჩნამე თუა ცოცხალი...

გულიკო-რას ამბობ ეგ თუ კათედრიდან არ გამოასვენეს...რა დაემართებოდა ?

ლალი-ესლა მაკლდა, არ გაიხედო.

გულიკო-ვინაა ?

ლალი-თენგო არევამე...ჰმ სადაც ბირჟავიკობა უყვარდა იქ გაჭედილა ზუსტად საწყალი...

გულიკო-უიმე, მართლა ვეღარც წინ მიდის და ვეღარც გვერდით ჩადის.

ლალი-ხომ გეუბნები, სიცოცხლეშიც მაგ მდგომარეობაში იყო... საშინელი თვალეებით იცოდა შემოხედვა...საზიზღარი ქუჩის ბიჭი.

გულიკო-შეხედე ერთი...ფილარმონიის შუშები ისევ გასაწმენდია...სირცხვილი ამათ, სირცხვილი.

ლალი-შუშები კი არა ხელი მაგრად ჩამჭიდე, ჩემს ბავშვობაშიც ბელინსკზე დიდი ნიაღვარი იცოდა, თუ გადავურჩით ჰო...

გულიკო-მოიწი ახლოს, ძალა აღარ მაქვს თითქოს...

ლალი-რა ხდება ?

გულიკო-რამდენი ხალხია?

ლალი-ანდროპოვის ყურები სადაა ? გააქრეს ? კარგად ჩამეჭიდე, მოედანზე უნდა შეეცუროთ, ამ სანახაობას ვერ გამოვტოვებ.

გულიკო-ვაიმეეეეეე საწყალი...

ლალი-ბატონო ედუარდ ისევ პარადზე გგონიათ თავი ? ხელს რატომ გვიქნევთ.

გულიკო-ძველი დრო გაახსენდა, ნუ დასცინი. ირგვლივ გადაცმულებით იქნება გავსებული მოედანი. ის ხო არ გგონია, ჩაგავლებენ და რა მეშველება მარტოს მე ?

ლალი-საწყალი, თმები ისევ ისეთი თეთრი აქვს რაც ახალგაზრდობაში, არ ბერდება.

(უცხად ქალაქს კიდევ ერთი დიდი დამანგრეველი წყლის ტალღა მოაწყდება და ყველას თავისუფლების მოედანზე, ძველი მერიის შენობასთან მოაქუჩებს. შენობის აივნებიდან, ქალაქის მერი, სიტყვით მიმართავს თავშეყრილ საზოგადოებას:

ქალაქის მერი-ძვირფასო თბილისელებო...ენა მეზმის...ასე ყველა ერთად თავშეყრილი ისტორიაში არც ერთ ჩვენი ქალაქის მერს არ ახსოვს...მოგესალმებით...ცოცხლებო, გარდაცვლილებო, ახალგაზრდებო, მოხუცებო, ზეციური საქართველოს შვილებო, ცხოველებო და ფრინველებო...მოკლედ, დღეს ძაან ბედნიერი ვარ რომ მთელი ერი ერთად ვდგავართ და ვუმკლავდებით გაუგონარ სტიქიას. სიტყვები არ მყოფნის, ბავშვობიდან ვფიქრობდი თუ რას შეეძლო გაეერთიანებინა ბედკრული ქართველი ხალხი. რა შეიძლებოდა ამის მამოძრავებელი ძალა ყოფილიყო და აი დადგა ეს დღევ, როცა ამ ადგილს, როგორც იქნა ეღირსა გავსება ერთსულოვანი ქართველი ხალხით და არა პოლიტიკურად მოტივირებული, „გადადექი ! გადადექი !,-ს ძახილით გამძვინვარებული ხალხის მასით. მე იმედი მაქვს რომ დავძლევთ ამ კოლაფსს და ასე, როგორც ახლა, სამარადჟამოდ ერთად ვიქნებით...ერთად ვიქნებით ჩვენს გადარჩენილ ცხოველებთან ერთად...შეხედეთ მათ როგორ უწყინარად შემოგვცქერიან გმირ, გაერთიანებულ ქართველ ხალხს. (ცხოველებს) დღეიდან მე თქვენი მერიც ვარ, რადგან არნახული დიდსულოვნება გამოიჩინეთ ხალხის მიმართ. ერთი ხორცის მაღაზიაც კი არ გატეხილა...მე გამოვდივარ წინადადებით რომ საერთოდ აღარ იყოს ზოოპარკი, და ყველამ ერთად ვიცხოვროთ ამ ჩვენს ლამაზ, ტოლერანტულ ქალაქში. ქალაქში სადაც ოდითგანვე უხაროდათ ადამიანებს ცხოვრება, სიცოცხლე. დღეს, როცა ჩვენ , ახლა, ამ წუთას მთელი მსოფლიო შემოგვცქერის და აინტერესებთ თუ რას ვიზავთ, მინდა გითხრათ რომ არაფერსაც არ ვიზავთ...დავრჩებით ყველა აქ და სამაგალითო ვიქნებით მსოფლიოსათვის თუ როგორ დგას ქართველი ხალხი ერთად და როგორი კმაყოფილია ერთიანობით...ერთად დგანან მარიხუანას მწვეველები და ჩვენი ძველი, სახელოვანი ტანმოვარჯიშეები... ამალეღვებელია,-ვხედავთ ამდენ ათეისტს და წმინდანს ერთად, რომლებიც ამ ძნელბედობის ჟამს ერთად ლოცულობენ ქვეყნისათვის... აი, ჩვენთან არიან ჩვენი სახელოვანი პოლიტიკური ლიდერები, ძველები თუ ახლები, რომლებსაც ერთად დამდგარს ვერასდროს იხილავდით და დღეს, პირველად ვნახეთ ისინი რომ ერთმანეთს არ მტრობენ და პირიქით, სურსათ-სანოვარს უნაწილებენ ჩვენს მოსახლეობას. აი მე ვხედავ, ერთ-ერთმა მათგანმა როგორ მოიხსნა კბილის ოქროს პროტეზი და აჩუქა მოხუც ქალბატონს. აი, რა შეუძლია სტიქიას, ქარ-ბორბალებს თუ მიწისძვრებს. და მათ, (მცირე პაუზა) ვისაც ეგონა და ჯერ კიდევ დღემდე გონია რომ ქართველი ხალხი ვერასდროს გაერთიანდება, მოვიდეს და გადმოგვხედოს საიდანაც უნდა და რითიც უნდა, თუ ვინმეს გემინიათ გაერთიანებული ქართველი ხალხის, შეგიძლიათ უპილოტო საფრენი აპარატით დაგვაფიქსიროთ...ჩვენ სულ ასე ვიდგებით წვიმაში თუ ქარში, ზამთარში თუ ზაფხულში. ახლა მე მინდა, ვერ დავმალო ჩემი ემოცია და დაგასაჩუქროდ იმით, რითაც ჩვენ ბუნებამ, ღმერთმა, ასე უღვევად დაგვასაჩუქრა. მე თქვენ გასაჩუქრებთ სასმელი წყლით. (პაუზაა.

თანაშემწე ვაჟას, მიკროფონს იქით მეგრული დიალექტით-ვაჟა წყალი მოიტანე ბიჭო) ვაჟა წყარ მომიღი წიე.

(გულიკო, ლალის)

გულიკო-ჩაგეჭიდები, აქედან გავცუროთ.

ლალი-(გულიკოს) კაბა...მომეფარე...

გულიკო-რა მოხდა ?

ლალი-ნიანგი მყავს კაბის ქვეშ.

გულიკო-რაა ?

ლალი-პირზე ხელი ამაფარე, ვათავებ.

გულიკო-ახლავე.

ლალი-(ღრმა ამოსუნთქვით, ნეტარი სახით.) ღმერთო დიდებულო, ეს რა იყო.

გულიკო-(დაბნეულია) მერე, თამაზი ?

ლალი-ყალბი ურთიერთობა დამთვარდა. გავუშვი.

გულიკო-ახლა ?

ლალი-მომეკიდე, ქვემოთ ვეშვებით,-რიტუალებისკენ.

ფარდა

ზეზვას დაკარგვის ამბავი.

ზეზვა:

იულონი:

ზეზვა სარკოფაგში წევს, ზემოდან იულონი დაჰყურებს, შუბლიდან ოფლს იწმენდს.

ზეზვა-მაინც მიპოვეთ ?

იულონი-თავიდან სხვა მიმართულებით მივდიოდით, ჩემმა ინტუიციამ გაიმარჯვა.

ზეზვა-გილოცავთ. (ირონიით)

იულონი-რატომ იპარებით, რატომ გვაწამებთ.

ზეზვა-ვიღიმი.

იულონი-ეგ როგორ გავიგო?

ზეზვა-ესე იგი პასუხის გაცემა არ მსურს.

იულონი-თქვენი მეუღლე...

ზეზვა-რამდენჯერ უნდა გითხრათ, ნუ მიხსენებთ.

იულონი-ის ? ის რატომ არ გარბის.

ზეზვა-(თავისთვის) პოპულისტი მაიმუნი...ფუი .

იულონი-საუკეთესო პირობებში ხართ, ამ სირისტში გირჩევნიათ.

ზეზვა-გაიგეთ არ ვარ ადამიანი...მაიმუნი ვარ...

იულონი-...და თქვენი მეუღლე...

ზეზვა-და არც ის არის ჩემი მეუღლე !...თქვენი ვერსია მოეწონა და სულ ეგაა.

იულონი-როგორ ? მაშ ?

ზეზვა-უბრალოდ მეგობრები ვიყავით, ერთად ვიწექით, გული ერთ დროულად გაგვისკდა დინოზავრი რომ პირველად დავინახეთ.

იულონი-ის რომ ამას არ ყვება ?

ზეზვა-წესიერ ქალს თამაშობს...საყვარლობა უტყდება.

იულონი-სულ სხვა რამეს ამბობს.

ზეზვა-მოთაფლეთ ?

იულონი-არა.

ზეზვა-აბა რას ამბობს? ქრისტემდე ჯვარი დავიწერეთო ? არ მითხრად თორემ ამ სარკოფაგში ამოვტრიალდები.

იულონი-მთელი ცხოვრება პატიოსანი ცოლ-ქმარი ვიყავითო...რატომ უარმყოფსო.

ზეზვა-ჰმ... ლელა, ლელა...

იულონი-ბატონო ?

ზეზვა-ისევ გიჟივით გაიძახის მზია მქვიაო ?

იულონი-როგორ ?...

ზეზვა-ლელა, ლელა ქვია...მთელი საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს. ეკომპლექსება ეგ სახელი, სულ ეგაა. პრეზიდენტიც მოატყუა. პრეზიდენტის მოტყუება დანაშაული არაა ?

იულონი-რას ბოდავთ, რა ლელა, რის ლელა...სახელს რატომ მოგვატყუებდა ?

ზეზვა-ყველაფერს გატყუებთ, სახელი რა გაუხდა ?

იულონი-ერთი სიტყვით, მაგას არ ააქვს მნიშვნელობა. უნდა წაგიყვანოთ, ხვალ მოზამბიკის დელეგაცია ჩამოდის სტუმრად...მუზეომსაც ეწვევიან...არ უნდა შევრცხვეთ...რა ვუთხრად, მზიას ქმარი გაექცა-თქო ? არ გამოვა.

ზეზვა-უთხარით რომ დეპრესია მაქვს და ცალკე ოთახში ვარ დროებით.

იულონი-მასხრად მიგდებთ ?

ზეზვა-აქ მოიყვანეთ.

იულონი-რეებს ბოდავთ.

ზეზვა-უთხარით რომ მამა-პაპისეულ სახლში ისევნებს-თქო.

იულონი-პრეზიდენტი ამას ნამდვილად ვეღარ გადაიტანს. ამას თქვენი ცინიზმიც დავეუმატოდ...მოკლედ ჩაიცვით, წამომყევით...(პაუზა) შევტრიალდები, არ შემოგხედავთ.

ზეზვა-კაცები ვართ ეგ არაა პრობლემა...

იულონი-აბა ?

ზეზვა-დავიღალე...არ შეიძლება რომ ნამდვილი, თანამედროვე მაიმუნი ანახოთ ჩემს მაგივრად ? დავიღალე ამდენი უაზრო სახით , ყალბი ინტერესით დაშტერებული თვალებით და კიდევ მატყუარა თარჯიმნების მოსმენით, რომლებიც ხან რას ატყუებენ ჩვენზე და ხან რას...აღარ შემიძლია...გყავდეთ იქ ის თქვენი ლელა თუ მზია...დიდი ამბავი ბატონო ვინ არ ყოფილა უკაცოდ, მით უმეტეს ვიტრინაში, რა პრობლემაა...დამღალეთ ! მალე ალბათ პრეზიდენტობის კანდიდატად წამომაცენებთ...დავიღალე ! დავიღალე და აღარ მინდა თქვენთან წამოსვლა, არც თქვენთან ყოფნა აღარ მინდა და საერთოდაც დამასვენეთ ჩემს სარკოფაგში, გესმით დამასვენეთ ! (პაუზაა, იდუმალი სიმშვიდე, იულონს შუბლიდან ოფლი ჩამოსდის, ცდილობს ცხვირსახოცით მოიწმინდოს, თან ხელები უკანკალებს უხერხულობისგან.)

იულონი-კარგით, ეს ბოლო იქნება...მამალებენ...თქვენსკენ ვარ...ოღონდ ახლა , ამ დელეგაციასთან ნუ შეგვარცხვენთ, მდგომარეობიდან გამოგვიყვანეთ...პრეტენზია აქვთ უძველეს ერობაზე...თვალებში შემომხედეთ...(ზეზვა თავს ამოწევს სარკოფაგიდან, ორივეს ცრემლიანი თვალები აქვთ.)

ზეზვა-კარგით, გამოვეწყობი. მხოლოდ თქვენთვის წამოვალ, ბოლოჯერ.

იულონი-შევტრიალდები, უხერხულად ვარ.

ფარდა

რობოტი პრეზიდენტი და საბავშვო ბაღის მასწავლებელი

რობოტი-რობოტი პრეზიდენტი

მასწავლებელი-საბავშვო ბაღის მასწავლებელი

ზაზა-სპეც-რაზმის მეთაური

საბავშვობალი

რობოტი-ფია მინდა.

მასწავლებელი-დასჯილი ხარ.

რობოტი-ფია მინდა-თქო.

მასწავლებელი-ხომ გითხარი, დასჯილი ხარ.

რობოტი-შენი დედა მოტა. შენი დედა მოტა. შენი დედა მოტა. შენი დედა მოტა. შენი დედა მოტა.

მასწავლებელი-მაგინე რამდენიც გინდა. არ გაგივა.

რობოტი-გული მიმდის. შეხვედრაზე ასე ვერ წავალ. ზუსტად ერთ საათში იქ უნდა ვიყო.

მასწავლებელი-საერთოდ ვერ წახვალ.

რობოტი-წავალ. მიზანი დასახულია.

მასწავლებელი-მიზანი არა იხვი. ვერ წახვალ.

რობოტი-გამიშვი შენი დედა მოტა.

მასწავლებელი-შენი დედაც მოტა და შენი მამაც.

რობოტი-მამას ნუ მაგინებ. მამას ნუ მაგინებ. მამას ნუ მაგინებ.

მასწავლებელი-ჩაირთო უკვე.

რობოტი-მაჭამე, ქალი არ ხარ.

მასწავლებელი-ქალათ რომ მთვლიდე ამდენს არ მაწვალბდი.

რობოტი-ფია მინდა.

მასწავლებელი-სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ.

რობოტი-ვერა...ფია მშია-თქო.

მასწავლებელი-მოდი და ჭამე. (ბუბუს ანახებს)

რობოტი-რძე არ მიყვარს. რძე არ მიყვარს. რძე არ მიყვარს.

მასწავლებელი-უჯიშო ნაბიჭვარი...ვის დაემსგავსა.

რობოტი-გამიშვი.

მასწავლებელი-არ გაღირსებ.

რობოტი-შენი დედა მოტა.

მასწავლებელი-არ გეფსია მაინც.

რობოტი-არა. ფია მინდა, მშია.

(უცბად ისმის სადამსჯელო სპეც-რაზმის მეთაურის-ზაზას ხმა)

ზაზა-თვითმარქვია მასწავლებელო ! მოგმართავ გამოუშვა პრეზიდენტი ! უკანონოდ თავისუფლება შეზღუდული პრეზიდენტი.

რობოტი-აი, სულელი ხარ. გამიშვი ფია მინდა.

მასწავლებელი-დასჯილი ხარ. კუტუ დამანახვე.

რობოტი-არა-თქო, ხომ გითხარი. მაგას ვერ ვიზავ.

მასწავლებელი-აბა სულ კუთხეში იდგები ? დამანახვე რა მოგივა.

რობოტი-შიმშილისგან ვერაფრს ვაკეთებ, გამანებე.

(სპეც-რაზმი, ზაზას მეთაურობით ოთახში შემოვარდება, რობოტ პრეზიდენტს ხელში აიყვანენ. მასწავლებელს აპატიმრებენ.)

ზაზა-(მასწავლებელს) ახლა ეს მოიფიქრე ? რა ხერხს აღარ მიმართავ... დაპატიმრებული ხარ.

მასწავლებელი-(ყვირის) კუტუ დამანახვე შე გათახსირებულო !

რობოტი-შენი დედა მოტა.

მასწავლებელი-რა აღარ დავგეგმე, ფუი ამის...

რობოტი-გასათხოვარო ბოროტო.

მასწავლებელი-კაცი არა ხარ... გაუთხოვარი ვარ, სკანდალის ნუ გეშინია. (ზღუქუნებს) სხვას ხომ არაფერს გთხოვ...

ზაზა-გაიყვანეთ.

ფარდა